ხუთშაბათი, 12 აგვისტო, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ხუთშაბათი, 12 აგვისტო, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | „ | 9 „ 50 „ |
| 10 | „ | 8 „ 75 „ |
| 9 | „ | 8 „ — „ |
| 8 | „ | 7 „ 25 „ |
| 7 | „ | 6 „ 50 „ |
| 6 | „ | 6 „ — „ |
| 5 | „ | 5 „ 50 „ |
| 4 | „ | 4 „ 75 „ |
| 3 | „ | 3 „ 50 „ |
| 2 | „ | 2 „ 75 „ |
| 1 | „ | 1 „ 50 „ |

# ივერია

№ 185 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 185

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

## „ივერია“

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . 2 „ 50 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверіа“.



## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნეები.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—12)

**ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის**

## გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იმ ბანკში უძრავ დაგირავებულ მამულთა, რომელთა პატრონთაც არ შემოუტანიათ 1-ლს იანვრის 1904 წლის მათზედ დარჩენილი გადასახადი.

ქალაქის მამულებზედ საჯარო ვაჭრობა მოჰხდება 14-ს აგვისტოს, დაბა და სოფლებისაზედ—16-ს ამავე აგვისტოს.

მეორე ვაჭრობა დანიშნულია ორთავე რიგ მამულებზედ 31-ს აგვისტოს.

შემოსატანი ფული მიიღება საჯარო ვაჭრობის დღემდე ქუთაისის ბანკის კასაში, ტფილისში—სავაჭრო (საკომერციო) ბანკში, აზოვო-დონის სავაჭრო ბანკის განყოფილებაში და ა. ფრიდონოვის ბანკის კანტორაში, ბათუმში—სამხრეთ-რუსეთის სამრეწველო ტფილისის სავაჭრო ბანკების განყოფილებებში და ფოთში—სავაჭრო ბანკში.

(3—6—2).

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

«ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობა ამით აცხადებს, რომ სეკდემბრის პირველიდგან საჭიროა

## მასწავლებელი

«საზოგადოების» სკოლისათვის სოფ. ყალამშიაში (ბორჩალ. მაზრა). მასწავლებელს ექმნება ჯამაგირი თვეში 30 მან., ბინა და შეშა. მსურველმა უნდა წარმოადგინონ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები «საზოგადოების» გამგეობაში, (Тифлисъ, Общество Грамотности).

(2—2).

ქართულ თეატრის დამხმარებელ

## ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითაშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—1.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სკოლისათვის, კაკაბში,

**ს ა ჭ ი რ ო ა**

## მასწავლებელი ქალი

ჯამაგირი ექმნება წლიურად 300 მან. (უბინაოდ). თუ მასწავლებელი იკისრებს ხელ-საქმე ასწავლოს მოსწავლე ქალებს, მიეცემა კიდევ ზედმეტად 60 მან. მსურველთ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, (Тифлисъ, Общество грамотности). (3—1)

**პრინცესა მიურატის მამულების მმართველ ალექსი ნიკოლოზის ძის ბერიძისაგან.**

მთავრობის ნებართვით, სალხინოს სასოფლო საზოგადოების სოფელ სალხინოში მის აღმატებულების პრინცესა მიურატის მამულში იხსნება ყოველ წლიურ ბაზარი 10 დღით, 25 აგვისტოდან 5 ენკენისთვემდე, ადგილობრივ სხვა და სხვა ნაწარმოების გასასყიდათ და გასაცვლელად და აგრეთვე ადგილობრივ ჯიშის მსხვილ და წვრილ-ფეხ საქონლის გასასყიდად.

ბაზრის დაარსებას აზრად აქვს შეაძლებინოს ადგილობრივ მცხოვრებლებს თვის ნაწარმოებთა ადვილად გასაღება და გაუმჯობესობა საქონლის მოშენების.

წლევანდელს ბაზრობაზედ მისი აღმატებულება პრინცესა მიურატი ჰმართავს დამსწრეთათვის ბინებს მოწყობილებით და სხვა და სხვა გასართობ-სანახავებით ხალხისასთვის.

25 აგვისტოსაა ბაზრის გახსნა, სახალხო-საზოგადო თეატრი, წარმოდგენები დღისით და საღამოთი, დოღი კავკასიურ ყველა ჯიშის ცხენებისა ორი ვერსის მანძილზედ, ჯილდო 30 მანეთი. ჯირითი, ჯილდო 30 მანეთი. როგორც დოღზე ისე ჯირითში მსურველნი უნდა ჩაეწერნენ 25 აგვისტოს, საღამოს 8 საათამდე და მონაწილეობის მისაღებად შეშვებულნი იქმნებიან კომისიის ნებართვით. საღამოთი გაიმართება ჩირაღდანი და სადღესასწაულო სეირნობა.

26 აგვისტოს გაიმართება კავკასიური ჭიდაობა.

27 აგვისტოს დანიშნულია დოღი 12 ვერსის მანძილზედ, მიეცემა სამი ჯილდო 150 მანეთამდე. ჩირაღდანი და სადღესასწაულო სეირნობა.

28 აგვასტოს—ჭიდაობა კავკასიერ მოჭიდავეთა, სახალხო თეატრი და სეირნობა ბაზრობის გათავებამდე. ბაზრობის დროს დაუკრავს მუსიკა და კავკასური ზურნა.

(2—1).

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის ნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევნიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ბრ. ვ. სოგოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ზ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.


ტფილისი, 12 აგვისტო.

დაპირებისამებრ, შევუდგებით სათავად-აზნაურო სკოლის სასურველ მოწყობის განხილვას და პირველად სკოლის მმართველობას შევეხებით.

ეხლა სკოლას პატრონობს, ერთის მხრივ, გამგე კომიტეტი, შვიდის კაცისაგან შემდგარი, რომელსაც „საზოგადოება“ სამის წლით ირჩევს, მეორეს მხრივ—სკოლის გამგე ანუ ინსპექტორი, რომელსაც კომიტეტი ნიშნავს. კომიტეტი თავის მოქმედებაში პასუხის მგებელია „საზოგადოების“ წინაშე, გამგე სკოლისა კი—კომიტეტის წინაშე. ამ გვარი მართვა სკოლისა აუცილებელია: თვით კომიტეტსაც, რომელიც ნამდვილი პატრონია სკოლისა, არ შეუძლიან ფაქტიურად მისი მართვა,—ეს პედაგოგის საქმეა, და კომიტეტში კი, შეიძლება, არც ერთი პედაგოგი არ იყოს. ამიტომ კომიტეტი ირჩევს რომელსამე პედაგოგს, რასაკვირველია, ვისიც იმედი აქვს და ვისაც ენდობა, ჰნიშნავს მას ინსპექტორად და აბარებს სკოლის გამგეობას.

ამ გვარ წესში ურიგო არა არის-რა, თუ კი მოვალეობა და უფლება კომიტეტისა და ინსპექტორისა მტკიცედ იქმნება განსაზღვრული, რომ ერთი მეორეს საქმეში არ ერეოდეს, ხელს არ უშლიდეს. თუ ასეთი წესი არ არის შემოღებული, ან შემოღებულ წესს მტკიცედ არ მისდევს ერთიცა და მეორეც, ბევრი უწესობა და ურიგობა მოჰხდება, რადგანაც მათ შორის ადვილად ჩამოვარდება განხეთქილება და ამით სკოლას ევნება. ამისთვის საჭიროა ცალკე ინსტრუქცია იყოს დაწერილი, სადაც აღნიშნული იქმნება უფლება და მოვალეობა კომიტეტისაცა და ინსპექტორისაც, რომ იმან, ვისაც ინსპექტორობას ავალებენ, წინ-და-წინვე იცოდეს ყოველივე, რასაც მას კომიტეტი მოსთხოვს.

ამ ინსტრუქციის ძალით, კომიტეტი არ უნდა ერეოდეს ისეთ საქმეებში, რომელიც ინსპექტორის უფლებას შეადგენს; მაგალითად, მასწავლებლებისა და სხვა მოხელეების დანიშვნა ინსპექტორს უნდა ჰქონდეს მინდობილი და მის სურვილის წინააღმდეგ არც ერთი მოხელე არ უნდა ინიშნებოდეს. რასაკვირველია, კომიტეტს ნება აქვს არ მოიწონოს ინსპექტორის მიერ არჩეული კაცი, არ დაამტკიცოს და სხვა კანდიდატის არჩევა მოსთხოვოს, მაგრამ თვით კომიტეტს კი ნება არ უნდა ჰქონდეს, ინსპექტორის დაუკითხავად, დანიშნოს ვინმე.

მართლაც, ძნელია, პასუხის გება მოვთხოვოთ კაცს რომელსამე საქმეში,—მეტადრე თუ საქმე მძიმე და რთულია და მრავალის კაცის შრომა სჭირია, როგორც ჩვენს სკოლაში,—და თანამშრომლებისა და თანაშემწეების ამორჩევის ნება კი ჩამოვართვათ და სხვას მივანდოთ.

თვითოეულ კომიტეტის წევრს უფლება არ უნდა ჰქონდეს ჩაერიოს სკოლის მართვის საქმეში და რაიმე შენიშვნა მისცეს ინსპექტორს, მასწავლებელს ან სკოლის სხვა მოხელეს. კომიტეტის წევრს უნდა ახსოვდეს, რომ კომიტეტი კოლლეგია არის და ყოველ კოლლეგიაში კი ის წესი სუფევს, რომ თითოეულის წევრის აზრი და განკარგულება არავისთვის სავალდებულო არ უნდა იყოს, ვიდრე მისი აზრი და საჭირო განკარგულება კოლლეგიაში არ იქმნება განხილული და მოწონებული. ინსპექტორი მოვალეა აღასრულოს მხოლოდ განკარგულება კომიტეტისა და არა მის რომელისამე ცალკე წევრისა.

როცა საქმე ასე იქნება მოწყობილი, მაშინ კომიტეტის წევრნი სკოლის მართვის საქმეში ვეღარ გაერევიან; ცალკ-ცალკე განკარგულებას ვეღარ მოახდენენ, ზოგჯერ ერთი ერთმანეთის წინააღმდეგს, და ინსპექტორმა კი არ იცოდეს,

რომელი განკარგულება აასრულოს და რომელი არა. თუ ამისთანა წესი არ იქმნა დამყარებული სკოლაში, ძნელია კომიტეტმა იშოვნოს ისეთი სასურველი პედაგოგი, რომელიც იკისრებდეს სკოლის ინსპექტორობას.

ჩვენის აზრით, რა კი კომიტეტი სანდო კაცს აირჩევს ინსპექტორად, იმას უნდა ჩააბაროს სკოლის მართვა, თითონ აღარ უნდა ერეოდეს საქმეში, მხოლოდ მტკიცედ ადევნებდეს თვალს ინსპექტორის მოქმედებას და სკოლის მდგომარეობას, რომ მისს წინსვლას არა აფერხებდეს-რა.

ამიტომაცა ვსთქვით წინა წერილში, რომ კომიტეტს დიდი სიფრთხილე ჰმართებს ინსპექტორის არჩევაშიო. ყველასთვის ცხადია, რომ სკოლის ბედ-იღბალი ბევრად დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორი კაცი ეყოლება ინსპექტორად. როგორც კარგი ინსპექტორი დააყენებს სკოლას წარმატების გზაზე, ისევე ადვილად წაახდენს საქმეს უხეირო ინსპექტორი და სკოლას ყოველის მხრივ უკან და უკან დასწევს. ეხლანდელის კომიტეტის ზოგიერთს წევრსა ჰგონია, ვისაც ხელს მოვავლებთ, ყველა გამოდგება ინსპექტორადაო. ეს შეუწყნარებელი აზრია და ამტკიცებს, რომ ამ გვარ წევრს თავისი მოვალეობა ვერ შეუგნია და ეს წოდება ამაოდ უკისრნია. ხეირიან ინსპექტორს ბევრი რამ სჭირია, რადგანაც მრავალთანა აქვს საქმე. გარდა ცოდნისა, ინსპექტორი დიდის ენერგიით, დიდის ტაქტით უნდა იყოს შემკული, რომ მისი უფროსობა არავის ეჩოთირებოდეს, მისს განკარგულებას ასრულებდეს, მარტო ფორმალურად კი არა, არამედ ხალისითა და სინიდისიერად.

იქნება სთქვას ვინმე, ინსპექტორის მნიშვნელობას ძალიან ვაზვიადებთ; კომიტეტს ნება აქვს ინსპექტორი გამოსცვალოს მაშინათვე, როგორც კი დარწმუნდება, რომ იგი ამ საქმეში უვარგისია, მის ნაცვლად სხვა დანიშნოსო? ეს მართალია, მაგრამ, ვგონებთ, ისიც მართალია, რომ წარამარად ინსპექტორის გამოცვლა სკოლას სარგებლობას არ მოუტანს და ვნება კი შეუძლიან, რადგანაც სკოლას მტკიცე ნიადაგს მოუსპობს. ეს ადვილად გასაგებია. ყველა ადამიანს თავისი საკუთარი აზრი და შეხედულობა აქვს, რომლითაც იგი ხელმძღვანელობს, როდესაც საქმეს მას მიანდობენ. რა მდგომარეობაში იქნებიან ან შეგირდები, ან მასწავლებლები, როდესაც დღეს ერთის ინსპექტორის აზრსა და განკარგულებას უნდა ასრულებდნენ და მორჩილებდნენ, ხვალ მეორისას და ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერ შეეჩვევნენ და ერთს რომელსამე წესს მტკიცედ ვერ დაადგნენ?

შეიძლება გვითხრან აგრედვე, ეგ კომიტეტის დამცირება, მისის უფლების დამხობა იქმნება და კომიტეტი არას დროს არ დასთანხმდებაო. შეიძლება, მაგრამ გავბედავთ ჵ ვიტყვით, რომ ეგეც შემცდარი აზრია. იქმნება იმათ, ვისაც უფლება ხელთ უგდიათ, არ იამოთ ჩვენი სიტყვა, რადგანაც უფლებას მიმზიდავი ძალა აქვს, ჵ, თუ ერთხელ ჩაუვარდა ადამიანს ხელში, ძნელად-ღა დასთმობს, მაგრამ ბევრჯელ ისეთი დროა, რომ ნება-ყოფლობით უფლების დათმობა, არამც თუ დაამცირებს ვისმე და ღირსებას მოაკლებს, არამედ ნამდვილ გონივრულ და სასახელო საქმედ ჩაითვლება. ეს მაშინ მოხდება, როდესაც უფლების დათმობას თვით საქმის სარგებლობა თხოულობს.

ზოგიერთის უფლების ნება-ყოფლობით დათმობა მით უფრო ადვილია კომიტეტისათვის, რომ ყოველთვის ხელთა ჰრჩება უპირატესი უფლება,—უფლება ინსპექტორის გადაყენებისა, თუ მისი მოქმედება სახეიროდ ვერა სცნო.

ჩვენის აზრით, კომიტეტის მოვალეობა ის კი არ არის, რომ მარტო ბატონობას იჩემებდეს და სულ იმის ზრუნვაში იყოს, ბატონობა არ ჩამოგვერთვასო. ჯერ ერთი, რომ ამ ბატონობას არც არავინ უარჰყოფს და არც ეცილება და, მეორე —საქმე ბატონობა კი არა, ბატონობის გონივრულად მოხმარებაა.

ერთის სიტყვით, სკოლას უნდა განაგებდეს ინსპექტორი და კომიტეტი მას ეხმარებოდეს, ხელს უწყობდეს მისს მოქმედებას, სცდილობდეს მისი ავტორიტეტი აღამაღლოს. კომიტეტის მოვალეობაა ზედამხედველობა იქონიოს, გულს-მოდგინეობით ადევნოს თვალ-ყური სკოლის ყოველ საქმეს, იცოდეს ყოველივე, რაც სკოლას შეეხება, რა სიჭიროებაც აქვს. ამ რიგად კომიტეტი პირ-ნათლად შეასრულებს თავისს მოვალეობას და მინდობილს საქმესაც ბევრად მეტს სარგებლობას მოუტანს, ვიდრე ეხლა. თუ არა და ბევრჯელ შეემთხვევა ისეთი საქმე, რაც ამ ცოტა ხანში დაემართა, როდესაც ერთმა მასწავლებელმა რაღაც სთხოვა კომიტეტს და მან გამოუცხადა, თხოვნას ვერ აგისრულებთ, რადგანაც კომიტეტი ჯერ ხეირიანად ვერ გიცნობსო. ამაზედ მასწავლებელმა მისწერა პასუხი, და სამართლიანად უსაყვედურა: ორი-სამი წელიწადია, რაც თქვენს სკოლაში მასწავლებელი ვარ და თუ აქამდის კომიტეტმა ვერ გამიცნო, ეგ ჩემი ბრალი კი არ არის, თვით კომიტეტის ბრალია, რადგან ამ ხნის განმავლობაში არც ერთმა კომიტეტის წევრმა არ ინება დასწრებოდა ჩემს გაკვეთილს და უამისოდ როგორ გამიცნობდაო!

ყველას თავისი მოვალეობა აქვს, ყველა ამ მოვალეობას ერთგულად უნდა ასრულებდეს. კომიტეტიც კარგს ინებებდა, ინსპექტორს ჩააბაროს სწავლა-აღზრდის საქმე,—ეს მისი მოვალეობაა, თითონ კი ზედამხედველობას მოანდომოს თავისი დრო და შრომა.

## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

ვლადივოსტოკის ესკადრაში უკანასკნელ ბრძოლის დროს, 28 ივლისს, სულ სამი კრეისერი ყოფილა, რომელთაგან «რიურიკი» სრულიად დაიღუპა და ორიც —«როსსია» და «გრომობოი» ძალიან დაზიანდა. «რიურიკზე» უნდა ყოფილიყო 719 მეზღვაური, მათ შორის 28 აფიცერი. როგორც იაპონელთა ესკადრის ადმირალის მოხსენებიდგან სჩანს, 601 მეზღვაური (177 დაჭრილია) და მათ შორის 23 აფიცერი იაპონელებს თავის გემებზედ გადაუსხავთ და ტყვედ წაუყვანიათ. 5 აფიცერი და 113 დაბალი მეზღვაური კი დაღუპულა. «როსსია»-საც და «გრომობოიზე» უნდა ყოფილიყო 1,715 მეზღვაური, რომელთაგან ბრძოლაში მოკვდა და დაიჭრა 459 კაცი, მათ შორის «გრომობოის» უფროსი და 17 აფიცერი. ამ რიგად ესკადრას დაუკარგავს ბრძოლაში (მოკლული და დაჭრილი) 1,178 მეზღვაური და მათ შორის 45 აფიცერი, თითქმის ნახევარი საერთო რიცხვისა. (რ. ვ.).

—

ბერლინში დეპეშები მისულა, კიაოჩაოს მისულ რუსის გემებზედ 1,000 მეზღვაური არისო. გემებს იარაღი აეყარა. გერმანიის მთავრობას უბრძანებია გუბერნატორისათვის, მეზღვაურები დროებით კიაოჩაოს დარჩნენ და შემდეგ სამშობლოში გაიგზავნებიან, ხოლო იმ პირობით კი, რომ ამ ომში მონაწილეობა აღარ მიიღონო. რ. ვ.)

—

უცხოელებს ვერ გაუგიათ, რა დაემართა კრეისერ პალლადას ანუ სად წავიდა? ზოგი რას ამბობს და ზოგი რას. «ბერ. ტაგ.-ში» გადაბეჭდილ ადმირალ ტოგოს მოხსენებიდგანა სჩანს, ვითომდა «პალლადის» მინაგვანი კრეისერი 28 ივლისს დამე ნაღმოსნებმა დაღუპესო. «ბერ. ლოკ. ანცეიგერს» პარიჟიდგან ატყობინებდნენ, ვითომც 3 აგვისტოს დილით «პალლადის» მსგავსი კრეისერი პორტ-არტურიდგან გამოვიდა, იერიშის დროს ძალიან დაზიანებული, რავდენიმე ყუმბარა კიდევ მოხვდა ზღვაზე და დაიღუპა. მეზღვაურები გადარჩნენ თუ არა, ნამდვილად არ ვიცითო. სხვა გაზეთებს ჩიფუდგან სწერდნენ, «პალლადის» ამბავი არავინ იცის; ამბობენ, ვლადივოსტოკის ესკადრას შეუერთდებოდაო, თუ კიდევ არსებობსო. ჩიფუდგანვე იწერებოდნენ, ვითომც პალლადა სხვა სამხედრო გემებთან ერთად პორტ-არტურს დაბრუნდაო. (ნოვ.).

—

«ტაიმსი» მოწინავე წერილში ამბობს: როგორც მოსალოდნელი იყო, გენერალმა სტესსელმა. უარჰყო იაპონელების მოთხოვნილება ციხის ჩაბარების შესახებ ნებაყოფლობით, რომ სისხლი აღარ დაიღვაროს. სხვა პასუხს ვერც მისცემდა სალდათი, რომელსაც დიდმნიშვნელოვანი ციხე აბარია და დავალებული აქვს თავის სამშობლოს ღირსების დაცვა. ხოლო გაუგებარი ის არის, გენერალმა სტესსელმა რად უარჰყო იაპონიის იმპერატორის სათნოიანი წინადადება და პორტ-არტურის მცხოვრებნი რატომ არ გაანთავისუფლა, რომ ალყა შემორტყმულ ციხიდგან გასულიყვნენ? (რუს. სლ.).

—

## ომის სურათი.

(ბ-ნ კრასნოვის წერილი «მანჯურიის ლაშქრის მოამბეში»).

იაპონელების ერთს პატარა რაზმს ჩვენი დრაგუნები დაედევნენ და ერთს იაპონელს ცხენი მოუკლეს. ის უცებ გადმოვარდა და თავი დაჰკრა. დრაგუნებმა ნახეს, რომ ცოცხალია, და წამოიყვანეს. გზაზე იაპონელი გონს მოვიდა. რუსები გარს შემოეხვივნენ და დაიწყეს ლაპარაკი.

— გენერალთან უნდა წავიყვანოთ, — სთქვა უფროსმა ურიადნიკმა.

— დააცადე ცოტა, ხედავ ძალაზე დაზიანებულია, ფეხებს ძლივს მიათრევს, სად უნდა წაიყვანოთ. ჯერ ერთი რიგიანად ამოისუნთქოს.

— კარგი, კარგი მაშ აბა ვაჭამოთ რამე, ვინ იცის, რავდენი დღე არ დანაყრებულა.

მტერი ყაზახებს შუა აქეთ-იქით იყურებოდა და თავზე ხელს ისვამდა. ყაზახები თანაგრძნობითა და სიბრალულით უყურებდნენ.

— ჰე, ძმაო, გაები მახეში. არა უშავს რა, ნუ გეშინიან, ჩვენ არ გაწყენინებთ.

— შალვარი წითელი, მწვანე ზოლი, კურტკა ზედ-გაწყობილი, არა უშავთ-რა, კოპწიად არის მაგათი ჯარი,—ამბობს მეორე ყაზახი.

იაპონელს ხელი ახლეს, ერთმა უჩმიტა კიდეც.

— არა უშავს რა, მაგარი ხალხია, თუმცა პატარა ტანისაა, ბრძოლაში ძალა შესწევს,—ამბობს ყაზახი.

— ღმერთმანი, ყოჩაღსა ჰგავს. შენ, მეგობარო, გშიან?

იაპონელი კვნესოდა და თავზე ხელს იდებდა.

— რაო, გტკივა, ძმობილო? არა გიშავსრა, ფერშალი მოგარჩენს. შენ ნუ გეშინიან, რომ ჩვენ ყაზახები ვართ. ჩვენც ადამიანები ვართ. ომის ძალა გვესმის. ტყვედ ჩაგვივარდი —გვებრალები. ჩვენ ვიცით, რომ ეს ცუდია... იქნება შენ ჩინური გაიგო? პუხაუ...

ტყვეს ჩინურიც არა სცოდნოდა. ის სულ კვნესოდა და თავზე ხელს ისვამდა.

— გტკივა, ძალიან გტკივა? პუხაო. კარგი არ არის, მაგდონი გაგება-კი გვაქვს...

— რას იტყვით, იქნება არაყი დალიოს? არაყი მოარჩენს.

ეს აზრი ყველას მოეწონა. მოიტანეს არაყი. ყაზახები როგორღაც შოულობენ.

იაპონელს მოეწონა.

— რაო, ძმაო-იაპოშა, კარგია? შანგო. რუსკი ვოდკა. იაპონელმა დალია და კმაყოფილების ნიშნად თავი დაიქნია. დალია კიდევ და ძილი წაეპარა.

— ჰო, გამოიძინე, ძმაო, ეგეც კარგია.

დაუგეს ჩალა, ბალიში დაუდეს, შინელი გადაახურეს და მოასვენეს.

— საბრალო ხალხია,—სთქვა ურიადნიკმა.—სიკვდილს თვითონ ეგებებიან. ნუ თუ არ ესმით, რომ ვერას გახდებიან?

— იმედი აქვთ,—სთქვა ცეცხლთან მჯდომთაგანმა, სადაც კატლეტსა და ჩაის ამზადებდნენ.

გაიღვიძებს, ვაჭამოთ და ჩაი დავალევინოთ. დაღალულია საცოდავი,—სთქვა ურიადნიკმა სიბრალულით.

რამდენსამე საათს შემდეგ, იაპონელი რუსებმა თავის რაზმის უფროსთან რომ მიიყვანეს, არყითა ყარდა, ფეხზე ძლივს იდგა...

—

სადგურ დაშიცაოსთან დაჭრილი იაპონელები მოიყვანეს. დიდი დარბაზი სუფთად იყო მოწყობილი. ქირურგი ფონმანტეიფელი განკარგულებას აძლევდა. ერთს იაპონელს ტყვია კისერში მოხვედროდა და გული გაეხვრიტა, ხოლო ძარღვები არ დაეზიანა. იაპონელი ჭრილობის შეხვევის დროს იღიმებოდა და ექიმს ნიშნებითა და თითო-ოროლა სიტყვით აძლევდა პასუხს. თეთრი ხალათი ჩააცვეს.

— გშიან?—ჰკითხა ექიმმა.

— კუშ-კუშ, ჰო, მინდა,—ამბობდა ღიმილით იაპონელი და პირს აღებდა.

— რა ვაჭამოთ?—ჰკითხა დამ სათნოებისამ.

— სრული სადილი მიეცით. ეტყობა, მშიერია.

იაპონელი ჰქვიან განათლებულ და განვითარებულ კაცად გამოიყურებოდა და კეთილის ღიმილით აცქერდებოდა ექიმსა და სათნოიან დას. დიდის ხნის ტანჯვა-ვაების შემდეგ ომის ველზედ, ესეთი განცხრომა, სიფაქიზე, მზრუნველობა, მოვლა და ალერსი სწორედ რომ ხიბლავდა იაპონელს.

და მეც—მის მტერს, სასიამოვნოდ მიმაჩნდა, მეც მიხაროდა, როდესაც ის, მშვიდი და კმაყოფილი, იღიმებოდა.

## ტფილისი

*** მთავარ-მართებლის კანცელარიამ გუშინწინ აცნობა ტფილისის გუბერნატორს შემდეგი: როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, მერვში გაჩენილა რაღაც საეჭვო ავადმყოფობა, რომელსაც ერთი კაცი უმსხვერპლია. გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა ნამდვილი ნიშნები ხოლერისა. ამის გამო კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი სთხოვს ტფ. გუბერნატორს, ყოველი ღონისძიება მიიღოს და იზრუნოს, რომ ტფილისის გუბერნიაში არ გაჩნდეს ეს სენი.

*** ქართულ სახალხო წარმოდგენათა მმართველი სექცია აცხადებს სცენის მოყვარულთა საყურადღებოდ, რომ ვისაც სურს სახალხო თეატრს ემსახუროს, მობრძანდნენ ავჭალის სახალხო აუდიტორიაში 20 აგვისტოს, საღამოს 7 საათზედ.

*** ადგილობრივ სომხურ გაზეთ «მშაკს» დეპეშით ატყობინებენ მეშედიდგან (სპარსეთი) 5 აგვისტოს თარიღით, რომ იქ ხოლერა მოისპოო.

*** გაზ. «კასპის» ატყობინებენ მეშედიდგან,—როგორც აქ მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, თეირანში ხოლერა თითქმის მოისპო და თავრიზში კი სულ არ არისო. საზოგადოდ სპარსეთის ყველა იმ ქალაქებში, სადაც ხოლერა მძვინვარებდა, ყველგან დამცხრალა ეს საშინელი სენი.

*** 20 აგვისტოსთვის ტფილისში მოელიან ტფილისის სამოსამართლო პალატის ახლად დანიშნულს უფროსს თავმჯდომარეს, სენატორს ბ-ნს ზავადსკის.

*** ქართლ-კახეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლების საოლქო საბჭომ დაადგინა თავისს უკანასკნელს სხდომაზედ მომავალ სამოსწავლო წლიდგან არავითარი ცვლილება არ შეიტანოს ამ სკოლებში, როგორც რუსულის, ისე ქართულ ენის შესწავლის პროგრამებში. («ცნ. ფ.»).

*** ბევრის დავი-დარაბის შემდეგ მეტივეებმა მიიპოვეს უფლება ვერის ხიდის ზემოდ, ქალაქის სასარგებლოდ ფულის გაუღებლად, ტივების დაყენებისა და ვაჭრობისა. მაგრამ მეტივეებს ეხლა სხვა შემაწუხებელნი აღმოუჩნდნენ. ეს ვაჟბატონები ტივებს თოკებს სჭრიან და უშვებენ წყალში. წყალ-წაღებულ ტივს ხეებს სადმე ქვემოდ იჭერენ და შემდეგ პატრონს ხშირად თითო დაჭერილ ხეში 10—15 მან. ახდევინებენ. მეტივეებმა სხვა რომ ვეღარა გააწყეს-რა, გამოიღეს ფული და ორი კაცი დარაჯად დაიქირავეს. ამ დარაჯებს ეხლა-ხან დაუჭერიათ ვიღაც ავეტიქა ქიშმიშიანცი, რომელიც თოკებს აჭრიდა ტივებს. ქიშმიშიანცი 1 ნაწილის ბოქაულს წარუდგინეს.

*** 10 აგვისტოს ქალაქის გამგეობამ წითელის ჯვრის აღმასრულებელს კომისიას გადასცა 1,065 მან. ომში წასულ მეომართ ოჯახობის სასარგებლოდ. ეს ფული ტფილისის ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთა ჯამაგირებიდგან გამორიცხული თანხაა 1-ლ იანვრიდგან 1-ლ აპრილამდე.

*** დღეს, 12 აგვისტოს, კრება ექნება ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელს კომისიას. კრებამ განიხილა სხვა-და სხვა მიმდინარე საქმეები ქალაქის დაწმენდა-დასუფთავებისა.

*** რადგანაც ამ ბოლო დროს საკლავი საქონელი გაიაფდა, ნიხრის გამწესებელმა კომისიამ დაადგინა, ნიხრი დაუკლოს: 1 ხარისხის ხორცი იქნება—10 კ. მე-2 ხარისხისა—9 და მე-3 ხარისხისა—6 კაპ., ცხვრის ხორცი—12 კაპ. ნაცვლად 11 კაპ.

*** 9 აგვისტოს ნაძალადევში, ქუჩის გასასუფთავებლად მიწის მუშაობის დროს ჩამოწვა ზვავი, რომელსაც შიგ მოჰყვა სამი მუშა. მიწა მოთხარეს საჩქაროდ და ერთი მათგანი ხელად ამოიყვანეს, ცოცხალი დაშავებული, ხოლო დანარჩენი ორი ერთის საათის შემდეგ ამოიყვანეს და ერთი მათგანი უკვე მკვდარი მიიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, ხოლო მეორე გვერდებ-დამტვრეული და უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი.

*** რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნი «იმედი», თხზ. პავლე აკობასი, (ლექსები). წიგნი შეიცავს 150 გვერდს და ჰღირს ათ შაურად.

## საქართველოს ამბები

მომავალ სამოსწავლო წლიდგან ბათუმის დედათა გიმნაზიაში არსდება მოსამზადებელი და საპედაგოგიო კლასები.

◆ კავკასიის 1-ლ ნაწილის სასამართლოს გამომძიებელი ვ. ა. ნაზაროვი დანიშნულ იქმნა ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგად.

◆ სოფ. იყალთოს (თელავის მაზრა) მემამულემ თავ. დ. ი. მაყაშვილმა ამ სოფელში ქსენონის დასაარსებლად შესწირა 500 მანეთი. აქაური მომრიგებელი შუა კაცი ყოველს ღონისძიებასა ჰხმარობს, რომ ჩააგონოს გლეხობას ქსენონის დაარსების საჭიროება.

◆ ზემო-თიანეთისა, თიანეთისა და არტანის სოფლის საზოგადოებათ (თიანეთის მაზრა) დაადგინეს განაჩენი, რომლის ძალითაც უნდა აქ დაარსონ სასოფლო ქსენონი. ქსენონისათვის უკვე მზად არის ყველაფერი და ახლო მომავალში დაარსდება კიდეც.

◆ დუშეთის მაზრის სოფ. ახალციხიდგან გვატყობინებენ, რომ იქ 25 ივნისს უკურთხებიათ ახლად შეკეთებული ძველის-ძველი ეკლესია წმ. გიორგის სახელობისა. კურთხევას აუარებელი საზოგადოება დასწრებია. კურთხევის წესი შეუსრულებია ყაზბეგის ახალს კეთილმოწესეს (ბლალოჩინს) მამა ვასილ კოზმოვს. კურთხევის შემდეგ მ. ვ. კოზმოვს სიტყვა წარმოუთქვამს ქართულად, რასაც ალტაბაში მოუყვანია დამსწრენი. ყველას ეგონა თურმე, რომ ახალი კეთილმოწესე ბერძენია და ქართული არ იცისო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თვით იქ დამსწრეებზედ უკეთესი ქართული სცოდნია. მეორე დღეს ახალ ნაკურთხ ეკლესიაში წირვა გადაიხადეს. წირვის შემდეგ გენერალ მაიორის გ. ნ. ყაზბეგის შვილმა ნიკო გიორგისძემ ყაზბეგმა მამა ვას. კოზმოვს გადასცა ახალის ოდიკის შესაძენად საჭირო ფული და შემდეგშიაც აღუთქვა შეწირულება.

—

**შესართავი.** (აჭარა). 25 წელიწადია მას შემდეგ, რაც ეს კუთხე რუსეთს ჩაბარდა. მას შემდეგ ამ კუთხეს არაფრით წაუდგავს ფეხი წინ. აქაურ მუსულმან ქართველებში იგივ ფანატიკობასა და მიუკარებლობა არსებობს, იგივ მტრობა და ზიზღი ქრისტეანებისადმი. მხოლოდ ამ ბოლოს დროს გარემოება შეიცვალა. ფანატიკოსობაზედ და მიუკარებლობაზედ თვით ხოჯებიც აღარ ლაპარაკობენ. გამოტყდნენ იგინი, რომ ამით ვერას აკეთებდნენ და მიტომ უფრო დაანებეს თავი. აჭარაში, ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული წერა-კითხვა ცოტ-ცოტათი ვრცელდება.

აჭარის დაბებში, სადაც აქამდის ერთ დუქანს ვერ ნახავდით, ეხლა რამდენიმე სავაჭროა. მაგალითებრ, ქედაში ეხლა რამდენიმე კარგად მოწყობილი სავაჭრო არსებობს. ასევე შესართავზედ მოხდა; აქ ადრე ერთი ბერძნის დუქანი იყო და ეხლა კი რავდენიმეა. სამი სავაჭრო მარტოდ ადგილობრივ აქვსთ. სადაც ამ 15 წლის წინეთ მშიერი ნადირი დაძრწოდა, იქ დღეს მშვენიერი სანოვაგეთა სავაჭროებია.

ბათუმიდან კახაბერს რომ გადახვალთ, მერე ართვინამდის და არდაჰანამდე ხშირად ნახავთ გზაში აქა იქ სხვა და სხვა სავაჭროებს. საყურადღებოა აქ ისიც, რომ ვაჭართა და ხელოსანთა შორის ქართველი მაჰმადიანებიც არიან და სამუშაოს ეტანებიან. სურათი დიდათ არის შეცვლილი; რაც 25 წლის წინად იყო აჭარა, დღეს ის აღარ არის. იმედია, დღეის შემდეგ უფრო დიდი ცვლილება მოხდება და აქ ძველი ფანატიკური ხანა ძირიანად ამოვარდება.

შავშეთელი.

—

**ახალ-ქალაქი.** ორივე სიტყვა—ახალიც და ქალაქიც სრულიად უსაფუძვლოა, იმიტომ რომ ჩვენი წყალ წაღებული სოფ. ახალ-ქალაქი არც ახალია და არც ქალაქია. ეს გამოურკვეველი მდგომარეობა ეტყობა პირველ შეხედვაზედვე. თუმცა ქალაქურად ქუჩები აქვს, მაგრამ ვაი ამ ქუჩებს! ვიწრო, ოღრო-ჩოღრო, ჰუჰყიანი, წლის წლობამდე დაუგველი!

ქუჩების პირად დუქან-ბაზარიც არის ჩამწკრივებული, მაგრამ ვაგლახი ამ დუქან-ბაზარს! ვაჭრობის მაგივრათ მედუქნეები გაფარდალალებულნი გამომსხდარან თავიანთ ჭუჭყიან დუქნის კარებში და ბუზებს ჰყლაპავენ, ხანდახან ზმორება-მთქნარებით გადასტყორცნიან ერთმანეთს თითო-ოროლა უშვერს სიტყვას და ისევ თავებს ჰქინდვრენ.

კვირა უქმით მთიდგან ჩამოსული მთიული და შორი-ახლო სოფლიდგან სავაჭროთ მოსული ტინკიცი მანდილოსანი თუ შეარყევს ამ მყუდროებას და გამოაფხიზლებს ვაჭრულ ინსტიქტს—მოტყუილებისას და სიცრუისას!

— დედაშვილობამ? პირველი სორტია, ერთი ნახე და, ფარდაგია, სწორეთ ფარდაგია! სამ წელიწადს გასძლებს!—გაფაციცებით ეუბნება მედუქნე მანდილოსანს გახუნებულ, დამპალ, მჩვარივით ბაბლაწო ჩითზედ და იმასაც სჯერა.

— ბიჭო, შე მამაოხერო, კარაქში აბაზ ნახევარს გაძლევ გირვანქაში და კიდევ ინაზები?! აბა, ჩანახსთან წაიღე—ლიტრას სამ გირვანქად მიიწონს და, რასაკვირველია, გირვანქაში ექვსი შაურიც რომოგცეს, რას იზარალებ! ეუბნება მეორე მედუქნე ბეჩავ მთის შვილს და კარაქს გროშის ფასად სტყუებს.

ერთიც და მეორეც ხმა მაღლა, ყველას გასაგონათ ცრუობს, ამიტომ რომ ვაჭრობის ადათი ასეა ცნობილი ჩვენში. «თუ ტყუილი არა სთქვი, ფულს ვერ მოიგებ, აღაჯან»! ძველის ძველადგანვეა ნათქვამი კარაპეტასგან და ჯერჯერობით ყველასა სჯერა და ტყუილისაც არა რცხვენიან! მით უფრო რათ შერცხვება ვაჭარს ტყუილისა, როდესაც აქაური მყიდველი წყალ წაღებულია, კარგს ავში ვერ არჩევს და მწარეს ტკბილში. აგერ ხუთი წელიწადია ახალ-ქალაქში მწარე ფქვილს ჰყიდიან და მთელი ახალქალაქის მცხოვრებნი და მათთან საზაფხულოთ მოსულნი ტფილისელნიც ჰყლაპვენ ამ მწარე, ძიმწარეთ ქცეულს, დიდის ქალაქებიდგან განდევნილს ფქვილსა. პატრონი ვან არის! შიმშილით ხომ ვერ მოვკვდებით? გინდა თუ არა, უნდა ყლაპო. მარცხნივ წახვალ, თუ მარჯვნივ, ფურნეში, თუ თონეში, სუყველგან ბალღამ ნარევი პურია.

ხუთი წელიწადია ამ საშინელებას იტანს დიდი, ხუთას-ექვსასის კომლით დასახლებული სოფელი და მასთან მრავლად «დაჩათ» მოსული უტყვი ქართველი! მაგრამ რას არ იტანს დიდის ხნიდგან მეტყველებას გადაჩვეული ჩვენი მკვიდრი? აი თუნდ მისასვლელ-მოსასვლელი გზები დაათვალიერეთ.—განა სხვაგან სადმე ქვეყნიერობაზედ შეხვდებით ამისთანას! ქვა, კლდე, არშინზედ მტვერი, კარზედ გამოყრილი ნაგავი ხან აქეთ მიაქეთ მოაქეთ და ხან იქით «დაჩნიკების» შლეიფებს! «თარხნიანთ» ქუჩა, ეს ჩვენი პროსპექტი, ეს ერთად ერთი სულის ამოსასუნთქი და ნაბიჯის გადასადგმელი ბულვარი შეკრულია ფაეტონების ცხენების თავლებით და აუარებელი მოსეირნის ყნოსვას ატკბობს აქედგან გამოსული სურნელოვნება.

ნასახლარები, ორმოები, ხვრელები, ოდესღაც, ლეკიანობის დროს მიწის ქვეშ გაყვანილი და დღეს ჩანგრეულ, გავერანებული ხოლერას მშვენიერ ბუდეთ არიან ქცეულნი და ახლო-მახლო მდგომ ეტაჟებიან სახლების ჯირგინების როლს თამაშობენ თავმოწონებით.

წყალი?—ეს სიცოცხლის ნექტარა, ეს შავი მიწის ედემათ მქცევი, ეს წყარო უკვდავებისა! სიცოცხლის და ბედნიერების მონიჭების მაგივრად, სწორედ ჭირად გადაჰქცევია ახალ-ქალაქს. ის თავისუფლად დაბძანდება ქუჩა-ქუჩა, ბილიკებზედ, ხევებზედ, ჰგლეჯს, ჰფლეთს სოფელს გვერდებს, სტაცებს ვენახებს, ეტაჟიან სახლებს... და რიყე ღორღით ავსებს მის მიდამოებს.

ხიდი, გაკვლევა, გზის მიცემა წყლისათვის აღკრძალულია უზენაესისგან და დიდ ცოდვათ ჩაითვლება მცხოვრებთა შორის.

ხალხი კი ბლომად არის ახალ-ქალაქში გაუნათლებელთან განათლებულიც, მკვიდრიც და მოსულიც და ეს აუარებელი ხალხი დადის მუხლამდინ მტვერსა და ტალახში, სჭამს ბალღამით ქცეულა „ბრაკათ“ გადაყრილ პურს და მოსვენებით სძინავს. მით უმეტესად მოსვენებით და ტკბილად სძინავს, რომ ექვსი ტალიკ-ტალიკი ვაჟკაცი, წითელის «პაგონებით», ხმალ-ხანჯლით, მათრახებით შეიარაღებული «სტრაჟნიკი» სდარაჯობს იმის განსვენებას!

თუმცა თვით ეს დარაჯნი (უსაქმურობის გამო) მორფეის მონებათ არიან ქცეულნი და დღე და ღამ პირქვე დაცემულნი თაყვანს სცემენ იმის მშვენიერებას, მაგრამ მკვიდრს იმათი ყოფნაც ამშვიდებს და აკმაყოფილებს.

რასაკვირველია, ახალქალაქი იახალქალაქებდა თავმოწონებით, რომ პატრონი ჰყოლოდა და მისი ბუნებრივი სიმდიდრე და მშვენიერება, აუარებელი წყალი, მაღლობი მდებარეობა ტყის დაახლოვებით, დიდ მანძილზედ გადაჭიმული ბაღვენახი, ახოვანის კაცის ხეებით შემკული, მოცხმარა. რიგზე მოევლო და გაჰფთხილებოდა, მაგრამ სად არის პატრონი, სად არის შეგნება?...

როდის გაჩნდება, ან გაჩნდება როდისმე ეს პატრონი, თუ პავლეს მოსვლამდე პეტრეს ტყავი გასძვრება? ღმერთმა იცის!

მანამდე კი ახალქალაქელები ცოტაოდნათ იმითი მაინც ვნუგეშობთ, რომ წელს ერთი კერძო ადამიანის თაოსნობით და პატრონობით, ბიბლიოთეკა გაგვეხსნა. გული სიხარულით ამიძგერდა, როდესაც სოფლის თავში, სწორედ იმ ალაგას, სადაც ახალქალაქელი საზოგადოება თავს იყრის სალამ-სალამოობით ჰაერის ჩასაყლაპად და საშინელ სიბნელეში, (ახალქალაქის ქუჩებში ათიოდ გვერდზედ წახრილი ფანრის ბოძი არჰვია და განათების მაგივრად ფეხებში ეჩხირება ადამიანს) ფუსფუსებს, არშიყობს, ჭორაობს, იცინ-ხარხარებს, ბევრჯელ, შეიძლება, ფილოსოფიურ საგნებზედაც ბაასობს, ლამაზი, კოპწია, სუფთა მეცნიერების ტაძარი დავინახე გაჩირაღდნებულის ფანჯრებით.

ღმერთო! თვალები აღვაპყარ ზეცას, ეს ეკკლესია, ეს ახალი ძალა კაცთა ზნეობის განმასპეტაკებელი მაინც შეათვისებინე ქართველ დაბეჩავებულ კაცს და ჯერეთ ეს პატარა საფუძველი ერთი ათასად უქციე მეთქი.

პატარა სამკითხველოს ოთახის კედლები გეოგრაფიულ რუკებით იყო მოფენილი, პირველ ალაგის «ივერიის» და «ცნობის ფურცლის» უკვე წაკითხული და რიგზედ დაცული ნომრები იყო ჩამოკიდებული. შუა ოთახში დიდ სტოლზედ აუარებელი ახალი გაზეთები ეწყო და მის გარშემო გულმოდგინედ მკითხველი ახალგაზდობა შემოსხდომოდა. რუსული გაზეთები ბევრით სჭარბობდა ქართულებს იმ მიზეზით, რომ ყველას აქ «დაჩათ» მოსულს თავისი გამოწერილი გაზეთი ბიბლიოთეკისთვის ეძლევა ზაფხულობით.

«ფეხი ჩემი და კვალი ანგელოზისა მეთქი»,—მხურვალედ მივულოცე სამკითხველოს დამაარსებელს ამ ფრიად კეთილის საქმის დაწყება.

— ახალქალაქის სკოლის შეგირდები, ან საკვირაო სკოლის მოწაფენი სარგებლობენ წიგნებით? პირველ შესვლაზედვე შევეკითხე ბიბლიოთეკარს.

— ჯერ არა, მიპასუხა მან მწუხარებით, მაგრამ იმედი მაქვს ზამთრისა, გლეხკაცი რომ მორჩება მუშაობას, სამკითხველოს კარსაც შემოაღებსო! მაშინ თუ თითონ ვერ მოახერხებს კითხვას, მე წაუკითხავო.

ღმერთმა ქმნას, რომ სამკითხველოს გამგე და ახალქალაქელი მოსწავლენი დაუკავშირდნენ ერთმანეთს და ხელის-ხელ ჩაკიდებულნი შეეჩვივნენ კითხვას და წაკითხულის შეგნებას!

სამკითხველოს დაარსება ერთი დიდი ნაბიჯია განათლებისაკენ და საზოგადოებას მართებს მისს დამაარსებელს ხელი შეეწყოს, გაამხნეოს და თავისის თანაგრძნობით წარჩინების და მუშაობის ხალისი არ მოუშალოს.

ეკატ. გაბაშვილისა.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ა. სტოლიპინი, რომელიც „ს.-პეტერ. ვედ“-ში მოღვაწეობდა და ახლა «ნოვ. ვრ.»-ში გადაბარგულა, სწერს ომიანობის შესახებ:

> ბევრი რამ არის სამძიმო დღევანდელ ომიანობაში, მაგრამ უფრო სამძიმოა შეგნება შემუსვრილის ზვიადობისა და ქედ-მაღლობისა და დამსხვრევა ბევრი რამ იმისა, რაც უშიშრად და უდარდელად გვწამდა და გვჯეროდა...
>
> მტრები ზიზღით ცნობის-მოყვარეობით სცდიან და ათვალიერებენ სიმდიდრესაც, სამოქალაქო ძლიერებასაც და იმ რთულ ურთიერთობასაც, რომლის მეოხებითაც ჩნდება და მკვიდრდება ერის ცხოვრების ნიჭი და უნარი... როდემდის გასტანს ნეტავი ეს ცდა და ეს შემოწმება ჩვენის ძალ-ღონისა?
>
> მარტივი განმარტება ძველის ვითისმოსავის ხალხისა, რომ «ცოდვათა ჩვენთათვის იძლია ჩვენი ერი», დღესაც არ არის მოკლებული თავის მნიშვნელობას. მხოლოდ სიტყვა ცოდვა ისე უზედუდვით არ უნდა მივიღოთ, როგორც ძველებს ესმოდათ. თუ ასე იქნება, მაშინ ჩვენც ბევრი რამ გვაქვს მოსანანიებელი ჩვენთა საერთო ცოდვათაგან. ჩვენც ვიზიარეთ წარსულს ისტორიულს ცხოვრებაში ნაშენს ზარმაცობისას და სულმოკლეობისას და მისი ბრალი საერთო ბრალად უნდა იქმნას ცნობილი, თუმცა ჩვეულებრივ ამ ბრალს თვითოეულნი ცალკე დამნაშავე ჯგუფნი სხვას აჰკვეს ხოლმე თავზე. ის მხნევა, რომელიც ეძლევა ჩვენს თავმოყვარეობას, ხელს შეუწყობს ჩვენს ზნეობრივს გამობრწყინებას და კეთილისადმი ზრახვას, საერთო მისწრაფებას. მხოლოდ მაგ კეთილისადმი მისწრაფებას შეუძლიან კავშირი დაჰბადოს განცალკევებით მომქმედთა გაურკვევლობაში.

კიდევ ეგ არის ხათაბალა, რომ კეთილი ყველას ერთნაირად არ ესმის. რაც ერთს კეთილი ჰგონია, ის მეორეს უბედურებად მიაჩნია და ერთის ალმა ხნულს, მეორე უკუღმა ფარცხავს.

# თეატრი და ხელოვნება

**დ. ნაოღალევი.** პარასკევს, 6 მარიამობისთვეს, აქ გაიმართა წარმოდგენა, არტისტ დ. ჩარკვიანის თაოსნობით. ითამაშეს გუნიას «და-ძმა». საერთოდ პიესამ სუსტად ჩაიარა; სცენა სცენას არ ჰგავდა, გრიმი არც-ერთ მოთამაშეს არ უვარგოდა. მხოლოდ ორი თამაშობდა რიგიანად: ბ. დ. ჩარკვიანი (გაიოზ ფალავას როლს) და ი. ბახტაძე (ოტიას როლს), დანარჩენები შეძლებისამებრ ხელს უშლიდნენ. მარინეს მოთამაშე უხეიროდ მეგრელ გმირ-ქალის ნაცვლად ვიღაც ქარაფშუტა დედაკაცს გვიხატავდა, რომელიც ოტიას გაიოზისაგან ვერ არჩევდა. უკანასკნელ მოქმედებაში ხელოვნურად ჩაატარა იმედებ გაცრუებულ გაიძვერა ოტიას როლი ბ ი. ბახტაძემ, რისთვისაც საზოგადოებამ უხვი ტაშის ცემით დააჯილდოვა. წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრო.

დამსწრე მაყურე.

**სოფ. გომი.** (გურია). შაბათს, 7 აგვისტოს მთავრობის ნებართვით, ქ-ნთ თუმანიშვილების მეცადინეობით, სცენის მოყვარულებმა გამართეს სახალხო წარმოდგენა. წარმოადგინეს «დატრიალდა ჯარა», ყიფიანისა, «ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი» აწყურელისა, და „ორი მშიერი“, მისივე. წარმოდგენა უფასო იყო, რაც დიდად სასიამოვნოა, მეტადრე ისეთ ქესატობის დროს, როგორიც დღეს გურიაშია. ვოდევილებმა გვარიანად ჩაიარა, ხალხმა ბევრი იცინა და ნასიამოვნები დარჩა. მაყურებელი ვერ დაესწრო ბევრი, რადგან ეხლა გლეხს სულ სხვა საქმეები აწევს კისერზე და წარმოდგენისათვის არა სცხელა.

ალ. ჟ—იანი.

# წერილი

## რედაქციის მიმართ.

ადგილობრივმა მცხოვრებმა ვარლამ მიხეილის-ძემ კალანდარიშვილმა სადგურ ტიხორეცკიზე შეაგროვა ქვემო მოხსენებულ პირთაგან ლიხაურის სამეურნეო განყოფილების სასარგებლოდ 25 მანეთი; მანვე შემოსწირა ხსენებულს განყოფილებას გასულს აპრილში 15 მანეთი. ამისათვის უგულითადესს მადლობას უცხადებთ როგორც მას, ისე სიაში მოხსენებულ პირთ ჩვენის და აგრეთვე მთელის ლიხაურის საზოგადოების სახელით.

სია შემომწირველთა:

1). სერაფიონ ფესვიანიძე 5 მანეთი. 2). სტეფანე ელიაძე 5 მანეთი. 3) ბესარიონ მეტრეველი 2 მანეთი. 4). გერასიმე ქოთოშია 1 მანეთი. 5). გაბრიელ მეტრეველი 1 მანეთი. 6). ალექსი სანთელაძე 1 მან. 7). არსენ ბოკერია 1 მან. 8). ტერენტი ბზიავა 1 მან. 9). ბიკტორ ბოკერია 1 მან. 10). სევერიან ჭელიძე 1 მან. 11). ფარნაოზ გორძიანი 1 მან. 12). ალექსანდრე შენგელია 1 მან. 13). გიორგი მეტრეველი 50 კაპ. 14). აზიზულა ტონ ეროვი 50 კაპ. 15). პავლე კერესელიძე 50 კაპ. 16). ილიკო ქოფიანიძე 50 კაპ. 17). ბართლომე ჭეიშვილი 1 მან. 18). ვარლამ მიხეილ. კალანდარიშვილი 1 მან.

ლიხაურის საზოგადოების მამასახლისი ივანე ვაშაკმიძე.

ორკლასიან სკოლის ზედამხედველი ბ. მესხიძე.

კომიტეტის წევრნი: 1) მღ. ნესტორ კონტრაძე, 2). მღ. ან. ცეცხლაძე, 3) რაჟ. კონტრიძე, 4) ს. თავაიშვილი.

## „ივერიის“ ფოსტა

**ვანო სოლუაშვილს.** თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

**ი. ზ.—ძეს.** თქვენი ორ-მოქმედებიანი დრამა «დამონებული» არ დაიბეჭდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 აგვისტო.

**პეტერბურგი.** დეპეშა 2-რე რანგის ფლაგ კაპიტნის სტეცენკოსი ვლადივოსტოკიდან 8 აგვისტოს თარიღით 1 რანგის კრეისერებ «როსსია» და «გრომობოის» აფიცერთა ჯანმთელობის შესახებ: «1 რანგის კაპიტანი დობიჩი უკეთესობაშია, ჭრილობა ურჩება; მიჩმანს დომბროვსკის სიცხე დიდი ჰქონდა, მაგრამ ეხლა კარგად არის; მიჩმანი ორლოვი ხვალ გამოვა საავადმყოფოდან; ლეიტენანტს პეტროვს სიცხე ნორმალური აქვს, ჭრილობა მცირეა; ლეიტენანტ ვლადისლავლევსაც მცირე ჭრილობა აქვს, ხვალ გამოეწერება; ლეიტენანტ ვილკენს სიცხე არა აქვს, ჭრილობა ურჩება; მიჩმანი რუდენსკი ხვალ გამოეწერება; ლეიტენანტი ლემანი თითქმის სრულიად მორჩა; პრაპორჩიკს გრეზდევს ყურის აბსკა გაუწყდა».

**ჩიფუ.** (სპ. კორ.) ამერიკის საზღვაო აგენტი მაკოლეი პორტ-არტურიდან თიანძინს მოვიდა.

**დურბანი.** (რეიტერი). «კომედიენის» აფიცერი ამბობს, გემი გააჩერა რუსის კრეისერმა «სმოლენსკიმ». რუსები გემზე არ ასულან, ქაღალდები ნავში გაშინჯეს.

**მოსკოვი.** მოსკოვში მოიყვანეს შორეულ აღმოსავლეთიდან 53 ავადმყოფი და დაჭრილი ჯარის-კაცი. მოსკოვიდან წავიდნენ მემკვიდრე ცესარევიჩის ნათლობაზე დასასწრებლად დეპუტაციები ქალაქისა, თავად-აზნაურობისა, ვაჭართა საზოგადოებისა და ბირჟისა.

**ვარშავი.** მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების სახსოვრად ქალაქის გამგეობამ დაადგინა: «პოლიტეხნიკურს ინსტიტუტში დაარსდეს 16 სტიპენდია ოც-ოც თუმნიანი იმ სტუდენტებისათვის, რომელნიც ვარშავის მუდმივი მცხოვრებნი არიან, განურჩევლად სარწმუნოებისა, გაიმართოს მეორე ოთხკლასიანი სასწავლებელი მემკვიდრე ცესარევიჩის სახელზე, იშუამდგომლონ მემკვიდრის სახელი დაერქვას ქალაქის პირველ სასკოლო სახლისა და გაიმართოს საქალაქო მშობიარეთა თავშესაფარი და დაერქვას სახელი ხელმწიფე იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულისა.

**ხოტინი.** ორგეევის ერობამ გადასდო 100 ათასი მანეთი პურის საწყობის გასამართავად, საიდანაც ხალხს პურს მიჰყიდიან.

11 აგვისტო.

**პეტერბურგი.** საიმპერატორო მატარებლით მივიდნენ ახალს პეტერგოფს პრინცი ჰენრის პრუსიელი და პრინცი ბატენბერგელი.—10 აგვისტოს პეტერბურგს მივიდა გენერალ-ადიუტანტი კლეიგელსი.

**ნარვა.** 9 აგვისტოს ნარვამ მშვიდობიანად იდღესასწაულა 200 წ. იუბილეი პეტრე დიდისგან ამ ქალაქის აღებისა. შორეულ აღმოსავლეთის ომისა გამო დღესასწაულს მხოლოდ ეკლესიური ხასიათი ჰქონდა.

**ბერლინი.** 10 აგვისტო. «ნორდდეიტშე ალგემაინე ცაიტუნგი» ამბობს: „აუარებელმა და სიხარულის მანიფესტაციებმა მემკვიდრე ცესარევიჩის ნათლობის გამო დაამტკიცა, რომ რუსეთის ერში ერთად სამეფო სახლთან სუფევს შეგნება განვლილის ბედნიერ დღეებისა და რომ ხალხი დიდის მეზობელ სახელმწიფოსი ჰხედავს სამეუფო სახლის ნორჩ შტოში წინდს ქვეყნის ბედნიერად წინსვლისასა. გერმანიაშიაც, რომელიც შეკავშირებულია რუსეთის სამეუფო დინასტიასთან ნათესაურის მტკიცე კავშირითა, სიხარულით ეგებება ხვალინდელ დღეს და უსურვებს სამეფო სახლს და დიადს სახელმწიფოს რუსეთის მონარქისას ბედნიერებას და კეთილდღეობასა.

**დრეზდენი.** დღეს ორმოცის წირვა გადუხადეს ჩეხოვს საელჩოს ეკლესიაში.

**ლონდონი.** (რეიტერი). ლივერპულის სავაჭრო პალატამ მისწერა მთავრობას წერილი და იმედი გამოსთქვა, რომ რუსეთსა და იაპონიას შორის შეთანხმება მოხდება კონტრაბანდის შესახებ და აჩვენებენ იმ ვალდებულებას, რომელიც უნდა იცსრონ მებრძოლმა სახელმწიფოებმა ინგლისის ქვეშევრდომთა შესახებ.

**კიევი.** გემთა მოძრაობა დნეპრზე და იმის ტოტებზე ძიელ გაჭირდა, რადგან წყალი ერთობ დაპატარავდა და რიყეები გაიკეთა. დიდი გემები სდგას და პატარეებს ამუშავებენ. კიევის პირდაპირ უშველებელი ქვიშის ზვინი გაკეთდა.

**შანჰაი.** (რეიტერი). კონსულთა დილის თათბირმა «ასკოლდისა» და «გრომოვოის» შესახებ ვერა გადასწყვიტა-რა. გარეშე საქმეთა სამინისტროს ბრძანებით, ტაოტაიმ ნება მისცა რუსებს 10 აგვისტოს ნაშუადღევამდე დარჩნენ ნავსადგურში.

**შანჰაი.** (რეიტერი). ამერიკის მთავარკონსული თავმჯდომარეობდა კონსულთა თათბირის დროს. ყველა სახელმწიფოებს თვისი წარმომადგენელი ჰყავდათ. დაესწრნენ კლეიმენოვი, რუსის მთავარი კონსული. ოთაგირმა, იაპონიის კონსულმა პროტესტი განაცხადა, რუსეთის გემები არ უნდა იდგნენ ნავსადგურში და განაცხადა, ჩინეთმა ნეიტრალიტეტი დაარღვია და იაპონია თავისუფალია, შეუძლიან ნავსადგურში შევიდეს და გემები შეიპყრასო. ოთაგირი ერთობ მტკიცედ იყო თავის სიტყვაზედ. კლეიმენოვმაც პროტესტი განაცხადა, იაპონიის ნაღმოსანი არ უნდა შევიდეს ნავსადგურში და ამტკიცებდა, რუსის გემებს უფლება აქვთ ჩავსადგურში დარჩნენ შეკეთებამდე. მუშაობა «ასკოლდზე» 48 საათს შეაჩერეს. კონსულები მინამ ინსტრუქციას არ მიიღებენ, საქმეს არ შეუდგებიან. გადაწყვეტილია, ჩინეთი ვერ უარჰყოფს სანეიტრალო სახელმწიფოს ვალდებულებათა, რაკი საქმე კონსულთა ხელში გადასცა. არც ამერიკის ადმირალს, არც მთავარ-კონსულს ინსტრუქციები არ ჰქონდათ.—ინგლისის ესკადრა 10 აგვისტოს მოვა.

**ვაშინგტონი.** (რეიტერი). ამერიკის მთავარ-კონსული შანჰაიში მოახსენებს გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ იაპონიის გემები გაჩნდნენ შანჰაის ნავთსადგურშიო, მაგრამ არ იხსენიებს, მოიქმედა რამ თუ არა იქ მყოფმა ამერიკის სამხედრო გემმა. ზღვათა სამინისტროში გადაჭრით ამტკიცებენ, რომ ამერიკის სამხედრო გემებს განგებ ებრძანა, ნუ ეცდებით ჩინეთის ნეიტრალიტეტის დაცვასაო. ადმირალ სტერლინგს არა ჰქონდა მინდობილი, ეწინააღმდეგე იაპონიის გემებსაო.

**ჩიფუ.** (ბერლინიდან) იაპონელთა ზარალს პორტ-არტურის ალყის შემორტყმის დღიდან 50,000 კაცს ანგარიშობენ.

**სტამბოლი.** მაკედონიის ჟანდარმერიის უფროსმა გენერალმა ჯიორჯიშმა გუშინ გადასცა ხონთქარს ქაღალდი სამსახურიდან დათხოვნისა.

**ლონდონი** (რეიტერი). «ტაიმსში» დაბეჭდილია მალტის გუბერნატორის განკარგულება, რომ მებრძოლ სახელმწიფოთა გემებს, რომლიც მიდიან იქით, საცა ომია, ან სხვაგან სადმე სანეიტრალო გემების შესაპყრობად, აეკრძალებათ ნახშირით დაიტვირთონ კუნძულ მალტას რომელსამე ბრიტანიის პორტში, როგორც იქვე ნაპირას, ისე სატრანსპორტო გემებიდან, თუ ეს გემები იმ სამხედრო გემებს დასდევენ უკან. როგორც ხმა ისმის, ასეთივე განკარგულება იქმნება გაცემული ბრიტანიის ახალშენთა სხვა გუბერნატორებისაგანაცაო.

11 აგვისტო.

**პეტერბურგი.** მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო უმაღლესის მანიფესტით ნაბრძანებია: 1 არ დაისაჯონ ამას იქით გალახვით დანაშაულისათვის სოფლის

მცხოვრებნი და არა-რუსნი მკვიდრნი, აგრეთვე ის სხვანით, ვინც განთავისუფლებული არ არის გალაშქვით დასჯისაგან თავის წოდების მიზეზით ან სხვა დაკანონებით. მოისპოს ამას იქით გალაშქვით დასჯა ხმელეთისა და ზღვის ჯარში. 2) მიენიჭოთ შეღავათი სხვა და სხვა გადასახადის გადახდევინებაში, იმ გადასახადისა, რომელიც მანიფესტში დაწვრილებით არის მოხსენებული. 3) ეპატიოთ მემკვიდრეს დაბადებამდე აღრიცხული და დავალებული ჯარიმა და გადასახადი იმათ, ვინც მოვალე იყო გადახდისა. 4) ეპატიოთ ვალად დარჩენილი გარდასახადთაგან ნეოკლადნი სბორებისა. გერბის გადასახად გარდა, ბაჟისა იქნება თუ პატიმართა გაგზავნისა და შენახვისა, ის ფული, რაც დასდებიათ მცხოვრებელთ ხაზინისა, თუ თითოეული მათ შორის არ აღემატება ხუთ თუმანს. თუ მეტია ვალად დარჩენილი, თითოეულ სახელ-წოდების ვალიდან გამოირიცხოს და ეპატიოთ ხუთ-ხუთი თუმანი. 5) ეპატიოთ, რაც ამ წლის 1 იანვრამდე დარჩენილა იმათზე, ვისაც კუთვნილზედ მეტი წაუღია პენსია ან ვისაც ბრალი ედება, რომ მეტი გასცა პენსია ან ჯამაგირი, თუ სამართალში არ არის მიცემული, რომ განგებ მოიქმედა ასეთი საქციელი ხაზინის საზარალოდ. 6) ამოიშალოს ის ზარალი, რომელიც მიუყენებიათ ხაზინისათვის მით, რომ უკანონოდ გაუციათ ერთხანობით ან გამუდმებულ შესაწევარი სამსახურიდან გადამდგარ მდაბიო ჯარის-კაცებისა, მათ ცოლებისა და ქვრივებისათვის. 7) ეპატიოთ ყველას კერძო კაცთ თუ დაწესებულებათ მემკვიდრეს დაბადებამდე მათზედ დარჩენილი გადასახადი ავადმყოფთა მკურნალობისა, მოვლისა დ შენახვისათვის ხაზინისა დ სახელმწიფოს ქსენონებში, 8) ნუ გადახდებათ და ეპატიოთ ხაზინის ფულები სწავლისა და სახლის ქირისა იმ პირთ, ვისაც არ შეუსრულებია დაწესებული ვადა სამსახურისა გასათავისუფლებელად ამ გადასახადისაგან; დარჩენილი გადუხდელად ფულები სწავლა-აღზრდისათვის იმპერატრიცა მარიამის უწყების სასწავლებლებში, გადუხდელი ფულები, რომელიც დარჩა ალტაის და ნერჩინსკის ოლქებში მოსამსახურე მოხელეებზე ბავშვების აღზრდისა და შენახვისათვის ადგილობრივ სასწავლებლებში. განთავისუფლებულ იქმნენ უნივერსიტეტში კურს დამთავრებულნი, რომელთაც უნდა დაიჭირონ ეგზამენი კომისიაში 31 დეკემბრამდე 1905 წ., შესატანი 20 მანეთი, თუ სიღარიბის მოწმობას წარადგენენ. 9) განთავისუფლებულ იქმნენ საუფლისწულო, სახელმწიფო, სასახლისა და კაბინეტის კუთვნილი მამულების მოიჯადრენი, აგრეთვე სახაზინო მამულებისა, იმ გარდასახადებისაგან, რომელიც მანიფესტშია ჩამოთვლილი. ეპატიოს ჯარიმა სახაზინო ტყეებიდან მასალის შემძენელთა ფულის ვადაზედ შეუტანლობისათვის და დაუბრუნდეთ იმათ წარმოდგენილი ბედგან თავისუფლად დარჩენილი ხარჯების დაფარვის გამო. 10) მიეცეთ მანიფესტში ჩამოთვლილი შეღავათი დაბრუნებისათვის იმ ფულებისა, რომელიც სესხად მიეცით სხვა და სხვა დროსა კერძო კაცთა, საზოგადოებათა და წოდებათა. 11) ნუ გადახდებათ ფული, რომელთაც მისცა სახელმწიფო ცხენთა მოსაშენებელმა გამგეობამ კერძო კაცთა საზოგადოებათა. 12) ეპატიოთ როგორც სახაზინო, ისე იმპერატრიცა მარიამის უწყების ქვეშე მყოფ დაწესებულების გადაუხდელი ფულები, ზარალი, აგრეთვე გადაყოლილი ფულები, რაც კი შეგროვდა შეცდომით ფულის დარიგების დროს მოსამსახურეებისათვის. 13) სახელმწიფო ხაზინამ იკისროს ხარჯები აღზრდა და უზრუნველყოფა აფიცრებისა და ჯარის-კაცების ობლებისა, რომელნიც იაპონიასთან ბრძოლაში დახოცნენ ჭრილობისა და ავადმყოფობისაგან. 14) ექიმთა სახლობებს, რომელნიც საზოგადო სამსახურში იყვნენ მაგრამ გადამდებ სენთან ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა, ამ დროს ის სენით დაიხოცნენ და შესწირეს სიცოცხლე სახელმწიფოს, დაენიშნათ პენსია სახელმწიფო ხაზინიდან. 15) განთავისუფლდნენ პასუხის გებისაგან სამხედრო მოხელენი, რომელთაც მემკვიდრის დაბადებამდე იქორწინეს და დაარღვიეს სამხედრო კანონი. 16) ბავშვებს, რომელნიც კანონიერად შობილან იმ პირთან, ვისაც ღირსება ჰქონდა აყრილი და მემკვიდრის დაბადებამდე უფლებანი დაუბრუნდა, მანიფესტის ძალით, იმათ შვილებსაც ეძლევათ იგივე უფლებანი. 17) მიეცეთ უფლება მიიღონ კანონიერი ბილეთები იმათ, ვისაც ამის უფლება აღარა ჰქონდა, თუ 10 წლის განმავლობაში მემკვიდრის დაბადებამდე დანაშაული არა ჩაუდენიათრა სადამოჟნო კანონების წინაშე. 18) მიენიჭოთ იმათ, ვინც მემკვიდრის დაბადებამდე ჩაიდინეს მანიფესტში ჩამოთვლილი დანაშაული სისხლის სამართლისა, აგრეთვე სახელმწიფო დანაშაული, მანიფესტში ჩამოთვლილი წყალობა და შეღავათი; 19) იმ პირთა მემკვიდრენი, რომელთაც ხაზინის ფული დაედოთ, განთავისუფლებულ იქმნენ თუ ამ დანაშაულის ჩადენიდან მემკვიდრის დაბადებამდე 10 წელი გავიდა. 20) ეპატიოს ფინლიანდიაში 1904 წ 1 იანვრამდე შესატანი და გადაუხდელი მემკვიდრის დაბადებამდე ფოსტის ფული და მამულების იჯარა. გადირიცხოს 3 ათასი მარკა ფინლიანდიის სახაზინო საშუალებათაგან ხელუხლებელ ფონდად. უმამულოთა შესაწევრად ნება ეძლევათ დაბრუნდნენ ფინლიანდიაში დაუსჯელად იმათ, ვინც ერთი წელიწადია მემკვიდრის დაბადებამდე თავი მოარიდა სამხედრო ბეგარას იმ პირობით კი, რომ თავის ნებით გამოცხადდეს სამხედრო ბეგარის გამგეობაში. 21) ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორმა მოისაზროს ის ღონისძიებანი, რომლითაც შეიძლება შეღავათი მიეცეს იმათ, ვისაც აღკრძალული აქვს ფინლიანდიაში ცხოვრებისა და ეს მოსაზრებანი წარადგინოს უმაღლესად კეთილ განხილვისათვის.

**პეტერბურგი.** დღეს შესრულდა წმინდა ნათელ-ღება ხელმწიფე მემკვიდრისა და ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოოზის ძისა. კორტეჟს ახლდნენ ყაზახნი მის უდიდებულესობის კონვოისა, ლეიბ-გუსარნი და ატამანცები ცესარევიჩის პოლკისა. როცა ტაძარში გაემართნენ ლიტანიით, იქ ბრძანდებოდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დედოფალი ელლინთა ოლგა კონსტანტინეს ასული, პრინცი ჰენრიხ პრუსიელი, პრინცი დანიისა, პრინცი ლუდვიგ ბატენბერგისა და საიმპერატორო სახლეულობის წევრნი.

ნათლის-ღების დროს მემკვიდრე ცესარევიჩს დაჰკიდეს ორდენი ანდრია პირველ-წოდებულისა. ზარბაზნები 301 ჯერ გაისროლეს. ხალხი აუარებელი იყო ქუჩებში. პეტერგოფი და პეტერბურგი სადღესასწაულოდ არის მორთული. ნათელ-ღებას დაესწრო მთლად სადიპლომატო კორპუსი. მილოცვის შემდეგ საუზმე გაიმართა. პეტერგოფი და პეტერბურგი გაჩირაღდნებულია. ხალხი აღტაცებულია და სიხარული მისი აუწერელია. ყოველგან სადღესასწაულო წირვა იქმნა გადახდილი.

**პეტერბურგი.** ბრძანება სამხედრო უწყების მიმართ: მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნელად ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და ბრძანა იმ სამხედრო კაცთაც მიეცეთ შეღავათი და შემსუბუქება, რომელთაც ესა თუ ის სასჯელი მოელით, სამხედრო უწყებაში დაწესებული, რადგან მანიფესტი საზოგადოდ ამ უწყებას არ შეეხება. აი ეს უმაღლესი ბრძანება: 1) ეპატიოთ დანაშაული იმათ, ვინც თავის რაზმს განშორდა, დათხოვნილი იყო და დათხოვნის ვადას გადააცილა, თავის დროზედ არ მივიდა სამსახურში და სხ., თუ სხვა არა დაუშავებია-რა ჯარის კაცს ზემოხსენებულის უკანონობის მეტი და იმის მეტი, რომ სახელმწიფო ტანისამოსი გაუცვეთია და თავის ნებითაც გამოეცხადება ერთის წლის განმავლობაში თავის მთავრობას. ეპატიოს იმათაც ამისთანა დანაშაული, რომელთა შესახებ სამართალში მიცემა და საქმის წარმოება ჯერ არ გათავებულა. 2) ვინც გამორიცხულ იქმნა სამსახურიდან და ჩინები აეყარა, ჩინები ნუ ჩამოერთმევა. 3) ვინც ჯარის კაცად უნდა გადიქცეს დანაშაულისთვის, გამოირიცხოს სამსახურიდან, მხოლოდ ჩინები არ აეყაროს და ნება მიეცეს სამსახურში შესვლისა მდაბიო ჯარის კაცად დაწესებულ სამის წლის განმავლობაში. 4) სამსახურიდან გამორიცხულთ, თუ სამარცხვინო საქციელი არა ჩაუდენიათ-რა, ნუ ეთქმის, რომ მსჯავრდებულნი ხართო, არამედ სამსახურიდან გამორიცხულნი ეწოდოთ. ეს არ შეეხება იმათ, ვისაც მოუქმედნია სამარცხვინო დანაშაული. 5) ვინც ჩინების ჩამოურთმევლად გამორიცხია, ისიც სამსახურიდან გადამდგრად ითვლებოდეს. 6) ვინც სხვა დანაშაულისათვის სამართალში იყო მიცემული და ვისაც გადაწყვეტილი აქვს გამორიცხვა სამსახურიდან ჩინების ჩამოურთმევლად, ან ვინც უკვე მოიხადა სასჯელი, ნება მიეცეთ ათის წლის შემდეგ, კვლავ შევიდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამსახურში. 7) სამსახურიდან გამორიცხვა, როგორც მსჯავრ-დადებულთათვის, ისე იმათთვის, ვინც ასეთს სასჯელს უნდა დაექვემდებაროს, შეცვლილ იქმნას სამსახურიდან დათხოვნით. 8) ვინც დასჯილია დროებით ციხეში ჩასმით და სამსახურის ზოგიერთ უფლება-უპირატესობის შეზღუდვით, იმას სასჯელის ვადა ერთი სამად შეუმცირდეს. 9) ნაობახტში ჩასასმელ აფიცრებს და მოხელეებს, თუ ამ ჩასმას არ მოსდევს შეზღუდვა მათის უფლებისა, სულ ეპატიოთ სასჯელი. 10) დისციპლინარ ბატალიონებსა და როტებში მიცემისა, აგრეთვე სამხედრო ციხეში ჩასმის ვადა შემცირდეს ერთი სამად. 11) თუ ჯარის-კაცი დაჯარიმებულთა რიგში მოჰყვა, განთავისუფლებულ იქმნას ამ რიგში ყოფნისაგან. ეს არ შეეხება იმათ, ვინც გამასწორებელ როტა-ბატალიონებში არიან მიცემულნი, ან ციხეში სხედან. ეპატიოს აგრეთვე ჯარიმა იმათ, ვინც ერთხელ უკვე გადაიხადა ჯარიმა და ეს გარემოება აღენიშნა მის ნამსახურობის ქაღალდში და ეწოდოს იმას, უბიწოდ მსახურთა სიაში მყოფ. 13) ვისაც მარტოდ დამწყვდევა სამხედრო ციხეში შესაცვლელი აქვს სხვა სუბუქ დასჯად, დაპატიმრებულ იქმნან ისინი დარაჯის მიჩენით, მაგრამ დაჯარიმებულთა სიაში კი ნუ იქმნება ჩარიცხული. ამათის სასჯელისა და წყალსა და პურზედ ყოფნის ვადა შემცირდეს ერთი სამად. 13) განთავისუსუფლებულ იქმნან მდაბიო ჯარის-კაცნი სასჯელისაგან, რომელნიც მოვალენი არიან სამართლით მისჯილი ანუ მთავრობის ბრძანებით სადისციპლინარო სასჯელი მოიხადონ. 14) ნუ ჩაითვლება დამაბრკოლებელ მიზეზად ჯარიმა და საჩუქრებისათვის, უპირატესობის მინიჭებისათვის სამსახურში, უბრალო ჯარის კაცად გადაქცეულის გაუნტერ-აფიცრებისა და გააფიცრებისათვის. 15) თუ დასჯილია მხოლოდ ორის თვის ვადით ციხეში ჩასმის და დაჯარიმებულთა სიაში კი არ იწერება, სულ განთავისუფლებულ იქმნა ამ სასჯელისაგან. 16) თუ მეტის ვადით გადაეწყვიტა ჩასმა ციხეში. ეს სასჯელი ერთი სამად შეუმცირდეს, როცა მთავრობა დარწმუნდება, რომ სასჯელის მომხდელი კარგის ყოფა-ქცევისაა. ამ უკანასკნელ წყალობის მინიჭების განხორციელება მიენდობა ჯარების სარდლებს ანუ მათსა სწორსა და ტოლებს. მონარქის ასეთ წყალობის ამბავს ვაცხადებ სამხედრო უწყების საცოდნელად და აღსასრულებლად» ხელს აწერს: გენერალ-ადიუტანტი სახაროვი.

ამისთანავე ბრძანება მიეცა საზღვაო უწყებასაც. ცვლილება მიეცა მხოლოდ 13-ე მუხლის შენიშვნებს. ჯარის-კაცებს, რომელნიც სისხლის სამართლის კანონის 1035 მუხ. არიან დასჯილნი ორის თვით და სხედან სამხედრო-საზღვაო ციხეში სრულიად განთავისუფლებულ იქმნენ, ვისაც ორთვეზე მეტი აქვს, იმათ ერთი მესამედი შეუმოკლდეთ, თუ კარგად იქცეოდა სასჯელის ასრულების დროს ამ მეფის წყალობას ვუცხადებ საზღვაო უწყებას.

**პეტერბურგი.** უმოწყალესად ვბრძანებთ კიდევ დაწესდეს 50 სტიპენდია იმპერატრიცა მარიამის უწყების საქალებო სასწავლებლებში, და ამ სტიპენდიების ნახევარზე არა ნაკლები მიეცეთ განსაკუთრებით დახოცილთა და დაჭრილთა ბრძოლაში მტერთან. ანუ სამსახურის დროს დაღუპულთა ქალი-შვილებსა. ვაკანციების დასახელება თვითეულს სასწავლებელში, აგრეთვე წეს-რიგი სტიპენდიების განაწილების ქალთა შორის უმაღლესად განსახილველად უნდა გადაიცეს ხოლმე.—

უმაღლესად ებოძათ ორდენები: ანდრია პირველ-წოდებულისა—გრაფ. სოლსკის, სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტის თავმჯდომარეს. ვლადიმერი 1 ხარისხისა—კავკასიის მთავარ მართებელს თავადს გოლიცინს. ვლადიმერი მეორე ხარისხისა ხმლებით წყნარ ოკეანის ესკადრის უფროსს, ვიცე ადმირალ ბეზობრაზოვს კარგის განკარგულებისა და ვაჟკაცობისათვის.

უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყების 10 აგვისტოს თარიღით პეტერგოფში: ფინლიანდიის სამხედრო ოლქი გაუქმდეს. ამ ოლქის ტერიტორია, ყველა ჯარები და დაწესებულებანი სამხედრო უწყებისა შეირიცხოს პეტერბურგის სამხედრო ოლქში. ეს ბრძანება მოყვანილ იქმნეს სისრულეში დადებულის წესითა.

ფლიგელ-ადიუტანტს თავად ობოლევსკის ებოძა გენერალ-მაიორობა და ჩირიცხა მისს უდიდებულესობის ამალაში დაინიშნა: ირკუტსკის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ოტ-ინფანტერიისა, გრაფი ქუთაისოვი სახელმწიფო საბჭოს წევრად და დატოვებულ იქმნა თავისავე ადგილს; სამხედრო აგენტი ბერლინში პოლკოვნიკი შებეკო—ფლიგელ-ადიუტანტად.

**ჩიფუ.** (რეიტერი). როგორც პორტ-არტურიდგან მოსულნი ჩინელები ამბობენ, იაპონელებმა აიღეს იტშანი და 9 აგვისტოს ძლიერი იერიში მიიტანეს ხმელეთით პორტ-არტურზედ.

**შანჰაი.** (რეიტერი). ვადა, რომელიც ტაოტაიმ მისცა რუსის გემებს იარაღის ასაყრელად, ან ნავსადგურიდან გასასვლელად გავიდა აუსრულებლად. კონსულები შეიკრიბნენ, მაგრამ არა ფერი არ გადაუწყვეტიათ. იაპონიის ფლოტი ნავსადგურს გარე სდგას და თვალყურს ადევნებს. «ასკოლდი» ისეთს მდგომარეობაშია, რომ ზღვაში ვერ გავა. ეჩქარებიან მალე შეაკეთონ ქვაბები და საკვამლეები, მაგრამ დაზიანებული ჯავშნის გამოცვლა საძნელოა.

**პორტ-ელისაბედი.** (კაპის კოლონია). (რეიტერი). 6 აგვისტოს სამხედრო გემმა დასავლეთისაკენ გიარა. გემი რუსის კრეისერსა ჰგავდა.

**ლონდონი.** გაზეთებში დაბეჭდილია შანჰაიდან გამოგზავნილი დეპეშა, იაპონიის ესკადრა ვუზუნთან სდგასო. რამდენიმე კონტრ ნაღმოსანი ნავსადგურში შევიდა. იაპონიის ადმირალს ინსტრუქცია აქვს, რომლის ძალით ყუმბარები უნდა ესროლოს «ასკოლდსა» და «გროზოვოის», თუ ჩინეთისავან დანიშნულ ვადაზედ შანჰაიდან არ მივლენ.

**დურბანი.** (რეიტერი) ფიქრობენ, «სმოლენსკი» დაეძებს ინგლისის გემს «ორმლეის», რომელმაც დურბანიდან წაიღო სარკინიგზო ასალა, ინგლისის გემის კაპიტანი ამბობს, შუადღისას ვნახე დურბანიდან ორას მილზე სამხრეთ-დასავლეთად კრეისერიო. ინგლისის გემის «კომედიენის» კაპიტანმა საჩივარი შეიტანა «სმოლენსკზე», რომ შეაჩერა.

**გაუჰანძი.** (რეიტერი). მუკდენიდგან კერძოდ იუწყებიან, ხარბინიდგან ყოველ დღე მიდის ლიაოიანს ახალი ჯარები.

**ლონდონი.** ინგლისის ელჩი რომში ბერტი პარიჟში დაინიშნა.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
3 აგვისტოს 1904 წ.
ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,80 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,52 1/2 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7 1/2 % |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92 1/8 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 88 7/8 წვ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 387 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 298 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 255 1/4 ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4 1/2 % ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4 1/2 % ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 90 1/8 წვ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

## სია

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებლ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

**ალადაშვილი**, ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

**გედალინი**, ალექსანდრე გიორგის ძე. 10 საათ.—11 1/2 საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

**გეცელი**, ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

**ჯანიბეგოვი**, ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

**ელჩიევი**, მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

**ზაბლუდოვსკი**, იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—11 1/2 ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

**კასუმოვი**, ნიკოლოოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—11 1/2 ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

**მირზაევი**, მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.—9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

**საათსაზოვი**, ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

**თათევოსიანი**, ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 6 ს.—8 საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

**ხატისოვი**, ნიკოლოოზ დავითის ძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

**შახ-აზიზოვი**, არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი 7 1/2—8 1/2 ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

**შჩერბინინა**, ანნა ივანეს ასული. დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 4—6 ს. სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.


# განცხადებანი

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში**,
რომელიც იმყოფება მისის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

ქუთაისის ქალაქის წყლისა და ელექტრონულ ტრამვაის გამყვან საზოგადოების
სამთო ინჟენერ
**ა. დ. მიხაილოვის და ამხ.**
# გამგეობა
ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 22 აგვისტოსათვის 1904 წლისა, დილის 10 საათზედ, ქუთაისში, გამგეობის სადგომში, ტფილისის ქუჩაზედ, ანანოვის სახლში, დანიშნულია
**საჩქარო საზოგადო კრება**
ამხანაგობის პაის პატრონებისა.

განსახილველი საგნები: 1) ბალანსი 1 აგვისტოსათვის 1904; 2) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობის შესახებ და 3) გამგეობისავე მოხსენება იმის შესახებ, რომ ან შემდეგისთვის მოეწყოს საქმეთა მდგომარეობა, ანუ გადაეცეს სხვას. (3—6—2).

---

